სანოტარო მოქმედების ელექტრონული ნომერი

36814253430822

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221773677

რეგისტრაციის თარიღი

29.12.2022 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია

მისამართი: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. N 1

ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

აქტის ეგზემპლარები და დანართი:
მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად შედგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ა. მანიას სანოტარო არქივში თან ერთვის:
შპს „აიკონია კაპიტალი“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
შპს „აიკონია კაპიტალი“-ს პარტნიორთა კრების ოქმი.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება №272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

„მინდობილი პირი“ შპს „აიკონია კაპიტალი“-ს დირექტორი

ხელმოწერა Seth Edward Bly Char

მთარგმნელი

ნოტარიუს ანჟელა მანიას შემცვლელი პირი ელენე ძაბანია

სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაცხრა დეკემბერს, მე, ნოტარიუს ანჟელა მანიას შემცვლელ პირს ელენე ბაბანიას, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. #1, გამოცხადა სეტ ედვარდ ბლაი ჩარმა, როგორც შპს „აიკონია კაპიტალი“-ს დირექტორმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ზურაბ გიგაურს. სეტ ედვარდ ბლაი ჩარმა მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მოიმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე სეტ ედვარდ ბლაი ჩარის, როგორც შპს „აიკონია კაპიტალი“-ს (რეგ: 17/04/2014წ. ს/ნ 401995980. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, წულუკიძის ქ. შესახვევი 3, კორპუსი 12, ბინა #1) დირექტორის უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ვინაიდან ის არ ფლობს ქართულს და ფლობს ინგლისურ ენას, მის თარჯიმნის ფუნქციებს შეასრულებს მის მიერ წარმოდგენილი თარჯიმანი სოფიო შოშიაშვილი (დაბ: 02.02.1985წ. ქ. სიღნაღი, მცხოვრები თბილისში, ვაზისუბნის II მრ-ნი, კორპ 20,ბ.127 პირადი #40001006816, დიპლომი გაცემული თბილისის თ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2007 წლის 15.02-ს B N 002144, რეგისტრაციის N#002144). მე ნოტარიუსის შემცვლელმა პირმა, გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. ასევე სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე, მათ შორის თარჯიმანი, გაფრთხილებულია თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. მხარემ და თარჯიმანმა დაადასტურეს თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შესახებ.

სეტ ედვარდ ბლაი ჩარმა (დაბ: 25.02.1985წ. აშშ-ში, პ/ნ 01891005108, რეგ. მის: ქ. თბილისი შანდორ პეტფის ქ. კორ. 12 ბ. 1), როგორც შპს „აიკონია კაპიტალი“-ს დირექტორმა, რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მიმნდობი“, ზურაბ გიგაურს (დაბ: 20.05.1953წ. აბაშაში, პ/ნ 01017014968), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი:
მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, არქიტექტურის, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, საკადასტრო ზედამხედველობის, მუნიციპალურ სამსახურში, ინფრასტრუქტურის, საკადასტრო, ზედამხედველობის, მუნიციპალურ სამსახურებში, შშუნებარე მრავალფუნქციური შენობაზე (საცხოვრებელი კორპუსი) არქიტექტურულ პროექტთან დაკავშირებით, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების სარეკონსტრუქციო, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს/წარადგინოს/დაამტკიცოს პროექტები, ატვირთოს ელექტორნული დოკუმენტები, მათ შორის TASS.GE შშუნებლობის ნებართვის განახლებისთვის მიიღოს ნებართვები, შეიტანოს კორექტირება პროექტში დაამტკიცოს კორექტირებული პროექტები, საზოგადოების სახელით წარადგინოს განცხადებები, ჩააბაროს და მიიღოს ოდკუმენტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, წარადგინოს/მიიღოს ნახაზები, შეიტანოს კორექტირება მონაცემებში, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები და შეასრულოს კანონდებლობით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა:
მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით.
მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების გადანდობის უფლების გარეშე.